ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024 – 2027)

სარჩევი

შესავალი 1

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები 1

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან 1

1. სიტუაციის ანალიზი 3

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა 3

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 15

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 27

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა 32

1.5. განათლება, კულტურა, სპორტი 35

1.6. გარემოს დაცვა 40

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 41

SWOT ანალიზი 44

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები 46

2.1. ხედვა 46

2.2. მიზნები და ამოცანები 46

2.3. ლოგიკური ჩარჩო 48

3. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 55

3.1. დოკუმენტის განხორციელება 55

3.2. მონიტორინგი და შეფასება 55

4. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი 57

5. სამოქმედო გეგმა 57

დანართები 58

შესავალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (MDD) ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც ეფუძნება სიტუაციის ანალიზს, მუნიციპალიტეტის რესურსულ შესაძლებლობებს და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

დოკუმენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის 2024 -2027 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვით მდგრადობას და გაუმჯობესებულ ციფრულ მმართველობას.

შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები და საბიუჯეტო ორგანიზაციები.

დოკუმენტი მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში (DGG)“ პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის დახმარებით. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია დანიის მთავრობის მიერ.

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძვლებს ასევე წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის #264 განკარგულების („მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს; 2022 წლის 15 თებერვალი) საფუძველზე. დოკუმენტი ასევე, პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოამზადა ოზურგეთის მერის 2023 წლის 24 ივლისს ბრძანებით (ბ36. 36232054) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას, ასევე გათვალისწინებული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ფისკალური ჩარჩო.

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის

ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული,სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილება;
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია;
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

1. სიტუაციის ანალიზი

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 643,07 კმ^2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია შავმიწა-ალუვიური და ეწერმიწა ნიადაგები. მუნიციპალიტეტის გორაკ-ბორცვიან ზოლში გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები. მდინარეების, ნატანებისა და ბჟუჟის ტერასებზე განვითარებულია ალუვიური მეორადი წარმოშობის წითელმიწა ნიადაგები, ხოლო ზღვისპირა ზოლში ჭაობიანი ეწერ-ლებიანი ნიადაგები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის 30 ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული - 76 განსახლების ადგილით. აქედან 1 ქალაქია, 5 დაბა, 24 თემი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფართობი 643,07 კმ^2-ია, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ^2) 0,9 %-ია, ხოლო გურიის რეგიონის ტერიტორიის 22%-ს შეადგენს. ქალაქ ოზურგეთის ფართობი 22,11 კმ^2, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ტერიტორიის 270 კმ ^{2} უკავია. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1407.8 კმ-ს, მ. შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 247.8 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,7კმ-ს, ბეტონის საფრიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 57კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1108,8 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგებს 63,8 კმ-ს.) ქალაქ ოზურგეთი წარმოადგენს გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც დედაქალაქ თბილისიდან დაშორებულია 325 კმ-ით, ბათუმიდან 60 კმ-ით, ფოთიდან 45 კმ-ით, ქუთაისიდან 90 კმ-ით.

მანძილი ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ბათუმის პორტამდე 49,6 კმ-ია, ბათუმის აეროპორტამდე 57,5 კმ, ბათუმის სარკინიგზო სადგურამდე 51,5 კმ. მანძილი ფოთის პორტამდე 49 კმ-ია, ქუთაისის აეროპორტამდე მანძილი 68,1 კმ-ია. ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ქალაქ თბილისის აეროპორტამდე მანძილი 329 კმ-ია, თბილისის სარკინიგზო სადგურამდე 312 კმ. მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან 20 კილომეტრის სიგრძის მანძილზე შავი ზღვა აკრავს.

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

<u>სასარგებლო წიაღისეული</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ბენტონიტური თიხა, რომლის მარაგი 10 მლნ ტონაზე მეტია. 2016 წლიდან ოზურგეთში მოქმედებს თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო „ასკანგელ ალიანსი“, რომელიც წარმატებით ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს. ახლო მომავალში იგეგმება ადგილობრივ წიაღისეულზე მომუშავე ახალი საწარმოს ამოქმედება.

საქართველოში აპატიტი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში მოიპოვება, ქანების 7-10% აპატიტს შეიცავს. ამავე სოფლის ტერიტორიაზეა წითელი რკინის მადანი. აქვეა აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია. კაოლინის საბადოა სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე 0.4-დან 11 მეტრამდეა. სოფ. შემოქმედსა და გომში კი სიენიტების საბადოა (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა). ოქრას საბადოა სოფ. ნაგომარში, რომელიც მინერალური საღებავების დასამზადებლად გამოიყენება. მოპოვების შესახებ ინფორმაციასთვის იხ. დანართი - ცხრილი 1.1)

ცხრილი 1. საბადოები ლითონები

რესურსის დასახელება	ობიექტი	მარაგების განზ. ერთეული	სამრეწველო ტიპი
ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები	ვაკიჯვრის მადნიანი ველი	ტ	საიუველირო; ქიმიური მრეწველობა
ოქრო, პოლიმეტალები	ნასახლები	ტ	საიუველირო; ქიმიური მრეწველობა
ოქრო_პოლიმეტალები	<Null>	ტ	საიუველირო; ქიმიური მრეწველობა
ოქრო_პოლიმეტალები	<Null>	ტ	საიუველირო; ქიმიური მრეწველობა
ოქრო	კონჭკათის საბადო	ტ	საიუველირო; ქიმიური მრეწველობა

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

ქვიშა-ხრეშის საბადოებია ოზურგეთის ტერიტორიაზე. მარაგები დამტკიცებულია როგორც ბეტონის შემავსებლის და სამშენებლო ხსნარის ნედლეული, რომელიც პასუხობს სტანდარტულ მოთხოვნებს. აღნიშნული რესურსები დათვლილი არ არის და ამდენად, უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი.

ცხრილი 2. საბადოები - არალითონები

რესურსის დასახელება	**ობიექტი**	**მარაგების განზ. ერთეული**	**a_b_c1**	**c2**	**p1_p2_p3**	**სამრეწველო ტიპი**
ბენტონიტური თიხა	ასკანას ჯგუფი	ტ	**3256683**	0	0	სამთო-ქიმიური მრეწველობა
ბენტონიტური თიხა	ასკანას ჯგუფი	ტ	**4695095**	0	0	სამთო-ქიმიური მრეწველობა
ბენტონიტური თიხა	უჩხუბის გამოვლინება	ტ	6912200	0	0	ნავთისა და მცენარეული ზეთების გასაწმენდად
ბიტუმიანი ქვიშები	ნატანები	ტ	438000	59000	0	საგზაო მშენებლობა
ბიტუმიანი ქვიშები	ნატანები	ტ	438000	59000	0	საგზაო მშენებლობა
კერამიკული თიხა	მაკვანეთი	$მ^3$	**164924**	0	0	კერამიკული ნედლეული
კერამიკული თიხა	მაკვანეთი	ტ	0	296600	0	კერამიკული ნედლეული
პორფირიტი	აჭის გამოვლინება	$მ^3$	0	0	8000000	მოსაპირკეთებელი ქვა
სააგურე თიხა	კურეპის გამოვლინება	$მ^3$	0	0	450000	აგურის წარმოება
სააგურე თიხა	მერია	$მ^3$	286570	0	0	აგურის წარმოება
სიენიტი	გომი	$მ^3$	**1759800**	0	0	ღორღი

სიენიტი	ოჩხამურის გამოვლინება	$მ^3$	0	0	50000000	მოსაპირკეთებელი ქვა
ტორფი	მერია	ტ	4800	0	0	აგრონომიული ნედლეული
ტორფი	ნატანები	ტ	21300	0	0	აგრონომიული ნედლეული
ტრაქიტი	სამთავის გამოვლინება	ტ		24700000	52100000	კერამიკული ნედლეული
ტრაქიტი	ფამფალეთის გამოვლინება	ტ	0	22400000	9800000	ფაიფურის წარმოება
ტრაქიტი	ციხისუბანი	ტ	**413000**	**2047000**	0	კერამიკული ნედლეული
ტრაქიტი	გომი	ტ	0	0	0	კერამიკული ნედლეული
ტუფი	შემოქმედი	$მ^3$	2270000	0	0	სახერხი (საკედლე) ქვა
ქვიშა-ხრეში	დვაბზუს გამოვლინება	$მ^3$	0	1440000	0	სამშენებლო ნედლეული
ქვიშა-ხრეში	ნაგომარის გამოვლინება	$მ^3$	0	1930000	0	სამშენებლო ნედლეული
ქვიშა-ხრეში	ნატანები	$მ^3$	7722340	0	0	სამშენებლო ნედლეული
ქვიშა-ხრეში	ბახვისწყალის გამოვლინება	$მ^3$	0	2140000	0	სამშენებლო ნედლეული
ქვიშა-ხრეში	ბჟუჟას გამოვლინება	$მ^3$	0	0	2205000	სამშენებლო ნედლეული
ქვიშა-ხრეში	ნატანები	$მ^3$	4287000	0	0	სამშენებლო ნედლეული

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში მეწყრული პროცესების გავრცელების და საშიშროების რისკის მიხედვით, მიეკუთვნება მაღალი საშიშროების რისკის კატეგორიას და რესურსების მოპოვების განვითარებისას, აუცილებელია შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სათანადო ხარისხით ჩატარება.

<u>ტყის რესურსები</u>

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია ტყის რესურსებით. ტყის ფონდის საერთო ფართობი (დაუზუსტებელი ინფორმაციით) 20 000 ჰა-ს შეადგენს. სატყეო მიწები არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. მერქნის დამზადების წლიური ლიმიტი ოფიციალური ჭრებისათვის 1200 $მ^3$-ს შეადგენს, რაც მხოლოდ სოციალური დანიშნულებისაა, ზემოაღნიშნული ღონისძიების გათვალისწინებით ამ ეტაპზე კომერციული ჭრა არ იგეგმება. ბოლო 3 წლის განმავლობაში სოციალური დანიშნულებით ტყის ჭრის ტენდენცია მნიშვნელოვნად მცირდება, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაზიფიცირებითაა განპირობებული. უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვანი კლების ტენდენციის მიუხედავად, მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს უკანონო ჭრის ერთეულ შემთხვევებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისტორიულად, 503 ჰა ფართობის ქარსაცავი ზოლები არსებობდა. თუმცა 2003 წლის ინვენტარიზაციის მონაცემებით, აქედან მხოლოდ 295 ჰა-მდე ნარგავებია გადარჩენილი. ამ ეტაპზე ქარსაცავი ზოლების აღდგენა-გაშენება მუნიციპალიტეტში არ ხდება და მსგავსი ღონისძიებები არ არის დაგეგმილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანერგე მეურნეობა არ არის. მსგავსი სანერგეების არსებობა ხელს შეუწყობდა ტყეების აღდგენასა და განაშენიანებას.

<u>წყლის რესურსები</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს უხვი წყლის რესურსი გააჩნია. ზედაპირული წყლების ქსელი წარმოდგენილია მდინარეებით სუფსა და ნატანები და მათი შენაკადებით: ბჟუჟი, ჩოლოქი, ბახვისწყალი, ორანი და სხვა. მუნიციპალიტეტი იმდენად მდიდარია მტკნარი წყლის რესურსით, რომ ინვესტორის მოძიებისა და სარწყავი სისტემის მოწყობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სარწყავი წლით მომსახურების გაყიდვა, რაც ეკონომიკურ სარგებელსა და შემოსავლებს მოიტანს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჭარბტენიანი ტერიტორიები შავი ზღვისპირა დალბობებზეა განლაგებული. მუნიციპალიტეტში არ არის მოქმედი ჰიდროლოგიური სადგური, შესაბამისად, ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არარსებობს. ბოლო 10-20 წლის განმავლობაში გასულ წლებთან შედარებით, წყალდიდობის სიხშირე გაზრდილია, მდინარეების წყალდიდობის პერიოდი კი არ შეცვლილა. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგი არ ხდება, რის გამოც ოფიციალური ცნობები წყლების დაბინძურების შესახებ არ არსებობს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 1933 წლიდან მოქმედებდა ბალნეოლოგიური კურორტი ნასაკირალი, რომელიც განთქმული იყო საუკეთესო სამკურნალო წყლით. კურორტი მომსახურებას უწევდა ათასობით დამსვენებელს (მათ შორის არანაკლებ 30%-ისა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების მცხოვრებლები იყვნენ). კურორტმა გასული საუკუნის 90-იან წლებში შეწყვიტა ფუნქციონერება. გაიჩეხა უნიკალური ტყე, დაინგრა ინფრასტრუქტურა, ჭაბურღილებიდან შეწყდა წყლის მიღება. ინვესტორის მოძიების შემთხვევაში შესაძლებელია კურორტის აღდგენა, რაც სამკურნალო პროფილაქტიკური დანიშნულების გარდა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ტურიზმის განვითარების საქმეშიაც. გარდა ნასაკირალისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. გომში, ქ. ოზურგეთში, სოფ. თხინვალში, სოფ. ნატანებში

დიაგრამა 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი)



(შეკვეთილის და ჩალიანის უბნები) არის მლაშე წყლები, რომელთა შემადგენლობა და დებეტი შეუსწავლელია, მოსახლეობა ამ წყლებით თვითმკურნალობას ეწევა.

დემოგრაფია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლისათვის შეადგენდა 63,3, აქედან ქალი 50,4%-ია, კაცი - 49,6 %, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობა შეადგენს 58,3 ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 56%-ია. მათგან მუნიციპალიტეტში ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა 23,5%-ია, ხოლო 76.5% კი ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის აღწერის მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის 1 იანვრისთვის დაახლოებით 6%-ით შემცირდა.

წყარო: საქსტატი[1]

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1კმ^2-ზე 85,7 კაცია.

დიაგრამა 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე



წყარო: საქსტატი

ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 50-დან 54 წლის მოსახლეობაზე მოდის.

დიაგრამა 3. მოსახლეობა სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი

[1] მოსახლეობის რიცხოვნობა წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით; ასევე საქსტატის ყველა მონაცემი წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით.

ბოლო ათწლეულის განმავლობში შობადობის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა შეიმჩნევა კლების ტენდენცია.

დიაგრამა 4. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა



წყარი: საქსტატი

დიაგრამა 5



წყარი: საქსტატი

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი 41,3 წელია, საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი - 38,1 წელი.

დიაგრამა 6. მოსახლეობის საშუალო ასაკი სქესის მიხედვით





წყარო: საქსტატი

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2018 წლიდან 2022 წლის ბოლომდე გაიზარდა 16%-ით და 7842 გახდა, ხოლო პენსიის მიმღებთა რაოდენობა 15062 იყო, რაც გურიის რეგიონის მასშტაბით პენსიონერთა საერთო რაოდენობის 56%-ია. მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 18147-მდე და მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 31,3% შეადგინა.

დიაგრამა 7. 2022 წელს პენსიონერთა საშუალო რაოდენობა



წყარო: საქსტატი

შრომითი რესურსები

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მოსახლეობაში იყო 71%. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაახლოებით 5,5 %-ით არის შემცირებული და 37 600 კაცს შეადგენს, რაც შრომისუნარიანი-ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციით არის გამოწვეული. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია ზრდის ტენდენციით აღინიშნება, რაც მუშახელის დეფიციტს ქმნის.

დიაგრამა 8. სამუშაო ძალა მუნიციპალიტეტში (ათასი კაცი)



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში დასაქმება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მოსახლეობის დიდი წილი თვითდასაქმებულია. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი კაცებში - 80,5%-ს, ხოლო ქალებში 83,1 %-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალის, უმუშევრობის და დასაქმების დონის მაჩვენებლების ანალიზის და შესაბამისი დაშვების მიზნით, გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები რეგიონალურ ჭრილში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა შემდეგი მაჩვენებლები, როგორიცაა: რეგიონის მოსახლეობა და 15+ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, სამუშაო ძალა, დასაქმებული და უმუშევარი რეგიონში. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

დიაგრამა 9. დასაქმება და უმუშევრობა მუნიციპალიტეტში



წყარო: საქსტატი

2022 წლის მონაცემებით, ოზურგეთში დასაქმებულია 24,9 ათასი კაცი, ხოლო უმუშევარია 3,5 ათასი ადამიანი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში რეგიონის დასაქმებულთა 48%-ია.

ქვეყნის მასშტაბით დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით იძლევა ზოგად სურათს, თუ რომელი დარგებშია დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული მონაცემები არ არსებობს რეგიონის და მით უფრო მუნიციპალიტეტის მასშტაბით და შესაბამისად, ქვეყნის სტატისტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ მაჩვენებლის მუნიციპალიტეტზე განზოგადება. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში 229 ათასი, აქედან ქალი 84 ათასი ქალი, ხოლო კაცი 145 ათასი. აღსანიშნავია, რომ ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი არის განათლების სფეროში, ხოლო კაცების დასაქმები მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სფეროში.

დიაგრამა 10. ქვეყნის მასშტაბით დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკა ცნობილი არ არის, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილია გურიის რეგიონის მონაცემები.

დიაგრამა 11. რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები



წყარო: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ძირითადად 49% დაქირავებულ შრომაზე მოდის, 18% კი - პენსიაზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის.

დიაგრამა 12. რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები





წყარი: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო ხარჯებს უჭირავს.

დიაგრამა 13. რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები



წყარი: საქსტატი

მთელი რეგიონის მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 52% სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე მოდის, 12% ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო 1% კი - განათლებაზე. ერთი შინა მეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი სურსათზე 348 ლარია.

დიაგრამა 14. რეგიონში მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯები





წყარო: საქსტატი

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება, მშენებლობა, დასასვენებელი და რეკრეაციული მომსახურება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფერო განსაკუთრებით ბოლო წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება, სასტუმროებისა და ინდივიდუალური სასტუმრო სახლების დიდი რაოდენობა ურეკსა და შეკვეთილშია განთავსებული და ძირითადად ზაფხულის ტურისტულ სეზონზე არის დატვირთული.

გურიის რეგიონი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ - ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. ბარის ტერიტორიაზე არის საზღვაო კურორტების განვითარების პოტენციალი, ხოლო მთის ტერიტორიებზე სამთო კურორტების განვითარების შესაძლებლობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, გომი შედის მაღალმთიან ზონაში, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილი (ნატანები, შრომა, კონჭკათი, თხივნალი, მერია, მთისპირი, ძიმითი, ასკანა, ჯუმათი) მოქცეულია მეწყრულ ზონაში, სადაც მაღალია სტიქიური კატასტროფების რისკი.

სოფლის მეურნეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი მოცულობა 27,896 ჰექტარს შეადგენს, რაც მიწის საერთო ფართობის 48%-ია. მათი ძირითადი ნაწილი (23,367 ჰექტარი) კერძო საკუთრებაშია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის გადანაწილებისას ირკვევა, რომ ფართობის 60%-ზე მეტი მრავალწლიან ნარგავებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ეკონომიკის წამყვანი დარგია, იგი არ არის მოდერნიზებული და შესაბამისად განვითარების არსებული პოტენციალი პრაქტიკულად აუთვისებელია.

ცხრილი 3. მეურნეობების რაოდენობა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწით მიწათსარგებლობის ფორმებისა და რეგიონის მიხედვით (ათასი ერთეული) 2021

	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით	**მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით, დაუმუშავებელი მიწის გარდა**	**მათ შორის**				**დაუმუშავებელი მიწა**
			ერთწლიანი კულტურებით ნათესი მიწა	ერთწლიანი ბალახებით ნათესი მიწა	მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწა	სათიბ-საძოვარი	
საქართველო	**546,6**	**494,1**	**413,3**	**5,8**	**263,6**	**77,8**	**310,3**
გურია	32,0	30,9	27,3	0,0	24,3	1,5	25,2

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობას ძირითადად ნატურალური მეურნეობის ნიშნები გააჩნია. იგი ორიენტირებულია არა ბაზარსა და პროდუქციის წარმოებაზე, არამედ კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და გასაყიდად გამოიყენება მხოლოდ ნამატი პროდუქცია. თუმცა 2020-2022 წლებში მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ადგილობრივი წარმოების ზრდით, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ხილის და ბოსტნეულის წარმოების მოცულობები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თვალსაზრისით მუნიციპალიტეტი მცირემიწიანია. აქ სასოფლო კომლების უმრავლესობას 0.75 ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვს საკუთრებაში. კომლების აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ საარსებო წყაროდ საოჯახო მეურნეობას მიუთითებს. თუმცა არის რამდენიმე პროდუქტი, რომელიც მოსახლეობას მოყავს ბაზარზე რეალიზაციის მიზნით, ესენია: თხილი, მოცვი, ხურმა, ციტრუსი, კივი, დაფნა, ჩაი და სხვა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროდუქტებს მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ. 2022 წელს მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის

ყველაზე დიდი მაჩვენებლით, ტრადიციულად თხილი გამოირჩეოდა - 12500 ტონა, ციტრუსი 13000 ტ. ჩაი - 1500 ტ. (ნედლეული), მოცვი - 950 ტონა.

ცხრილი 4. მეურნეობების რაოდენობა ხეხილის ბაღებით, ხეხილის ბაღების ფართობი და ძირების რაოდენობა რეგიონის მიხედვით 2021

	მეურნეობების რაოდენობა, ხეხილის ბაღებით (ათასი ერთეული)	ხეხილის ბაღების ფართობი (ათასი ჰა)	მრავალწლოვან ნარგავებში ხეხილის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)	ხეხილის ბაღებში ხეხილის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)
საქართველო	**146,7**	**77,4**	**41 336,3**	**34 408,0**
გურია	21,3	7,9	5 113,4	4 646,1

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარება. 90-იან წლებში გურიაში მასობრივად დაიწყო თხილის კულტურის გავრცელება. თხილის ნაყოფის რეალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალის დიდი ნაწილი სწორედ თხილის წარმოებასა და შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოებზე მოდის. გაზრდილი მავნებელ-დაავადებების მაჩვენებლების გამო მოსავლიანობის და თხილის ნაყოფის ხარისხის გაზრდის მიზნით საჭიროა: მწარმოებელთა ცოდნის დონის ამაღლება თანამედროვე მოვლა-მოყვანის სტანდარტებთან დაკავშირებით, საჭიროა ფერმერთა თანამშრომლობის გაღრმავება ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებთან. მუნიციპალიტეტში 16 ერთეული მცირე და საშუალო ზომის თხილის გადამამუშავებელი საწარმო მოქმედებს.

მუნიციპალიტეტში ჩაის წარმოება კვლავ სტრატეგიულ დარგად იქცა. ოზურგეთიდან დაიწყო ქართული ჩაის განვითარება საქართველოში, 1847 წელს ჩინეთიდან ჩამოტანილი პირველი ნერგი დაირგო ანასეულის საკოლექციო ნაკვეთში. დღეისათვის, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 20-მდე მცირე და საშუალო ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, ადგილზე იწარმოება შავი, მწვანე, თეთრი და წითელი ჩაის პროდუქცია. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი ბრენდის პროდუქცია: „გურიელი“, „შემოქმედი“, „ანასეული“, „Natura Tea Company“, „მზიანი“, „გრინ გოლდი“ და სხვა. მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული ჩაის პროდუქციის მოცულობა დღითი დღე იზრდება და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლით მზადაა საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. 2020-2022 წლებში სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებით 6 საწარმოს მიენიჭა ISO 22000 ხარისხის სერთიფიკატი.

ცხრილი 5. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თანადაფინანსებული ბენეფიციარების მონაცემები 2016 წლიდან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ხელშეკრულებების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება (ლარი)	ინვესტიციის ოდენობა (ლარი)
14	11	218,11	401 278	558 437

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

ოზურგეთის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები კარგ გარემოს ქმნის ადრე მსხმოიარე და მაღალმოსავლიანი ციტრუსის ჯიშების გავრცელებისათვის. ბოლო წლებში ციტრუსის რეალიზაცია გარანტირებული გახდა. თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა ყოველწლიური აგროტექნიკური და აგროქიმიური ღონისძიებების გატარება ციტრუსის ბაღებში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის ხარისხის და მოსავლიანობის ზრდას. ოზურგეთში მოქმედებს 7 (შვიდი) ციტრუსის მიმღები საწარმო, სადაც ხდება ციტრუსის დახარისხება, შეფუთვა და რეალიზაცია. მოქმედებს 5(ხუთი) ერთეული ხილის შესანახი სამაცივრე საწარმო, სადაც ფერმერებს

შეუძლიათ დაასაწყობონ მათ ბაღებში მოყვანილი ნებისმიერი ხილი, მათ შორის ლურჯი მოცვი, ჟოლო, მანდარინი, ლიმონი, წაბლი და გაყიდონ უფრო მომგებიან ფასში ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე.

ცხრილი 6. მეურნეობების რაოდენობა ციტრუსის პლანტაციებით, ციტრუსის პლანტაციების ფართობი და ძირების რაოდენობა რეგიონის მიხედვით 2021

	მეურნეობების რაოდენობა, ციტრუსის პლანტაციებით (ათასი ერთეული)	ციტრუსის პლანტაციების ფართობი (ათასი ჰა)	მრავალწლოვან ნარგავებში ციტრუსის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)	ციტრუსის პლანტაციებში ციტრუსის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)
საქართველო	**32,7**	**9,3**	**4 441,9**	**2 044,9**
გურია	7,7	2,1	1 000,2	848,2

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ქმნის კენკროვანი კულტურების (მოცვი, ჟოლო, მაყვალი, მარწყვი, კივი) განვითარებისათვის. ოზურგეთში 2022 წელს ამოქმედდა ლურჯი მოცვის ლიცენზირებული სანერგე მეურნეობა, სადაც დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს შეიძინოს მაღალი ხარისხის სარგავი მასალა და მიიღოს კვალიფიციური კონსულტაციები. არსებობს ანასეულის კვლევით ცენტრთან არსებული შედარებით მცირე ზომის სანერგე მეურნეობა, სადაც ფერმერებს შეუძლიათ შეიძინონ კივის და ლიმონის სარგავი მასალა და მიიღონ ფართო სპექტრის საკონსულტაციო მომსახურება.

ცხრილი 7. მეურნეობების რაოდენობა კენკროვნებით დაკავებული მიწის ფართობებით რეგიონის მიხედვით (ათასი ერთეული) 2021

	მეურნეობების რაოდენობა, კენკროვნებით დაკავებული მიწის ფართობით	მეურნეობების რაოდენობა, მოსავლის მომცემი კენკროვნებით დაკავებული მიწის ფართობით
საქართველო	**11,5**	**7,0**
გურია	0,2	-

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

ერთწლიანი მარცვლეული კულტურებიდან მუნიციპალიტეტში წამყვანი ადგილი უჭირავს სიმინდს (აჯამეთის თეთრი). 2022 წელს 5544 ჰა-დან მხოლოდ 1.300 ჰა-ზე დაითესა. ნათესი ფართობების შემცირების ძირითადი მიზეზია პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი და შესაბამისად მისი მომგებიანობა, რასაც განაპირობებს: თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, შრომის დაბალი ორგანიზებულობა, მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, ფინანსების არასათანადო ხელმისაწვდომობა, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების სიმცირე, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პროექტების მეშვეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეძენილი იქნა თანამედროვე სათესი ტექნიკა და თანდათანობით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განახლება. დღითი დღე უმჯობესდება ფერმერების ცოდნის დონის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგად.

მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი პირობები მეფუტკრეობის მნიშვნელოვნად გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად, ოზურგეთში ფერმერების საკუთრებაშია 16373 ოჯახი, დარგში თაფლის წარმოება შეადგენს 176.25 ტონას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის ფრინველის ხორცის მწარმოებელი 8 საწარმო, რომლებიც, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, მოქმედებს ფრინველის და საქონლის სერტიფიცირებული სასაკლაო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აღირიცხება 35364 სული მსხვილფეხა საქონელი. წარმოებული პროდუქცია შეადგენს 1781.8 ტონა ხორცს და 31541 ტონა რძეს. მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ისე ხორცის წარმოების დაბალ დონეს, ძირითადად, განაპირობებს გენეტიკური

მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე. თანდათანობით იკიდებს ფეხს ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გაზარდონ მესაქონლეობის პროდუქტიულობა. მუნიციპალიტეტის წყლის რესურსი კარგ პირობებს ქმნის სათევზე მეურნეობის განვითარებისათვის, სატბორე მეურნეობებში ხდება კობრის მოშენება, მთის მდინარეებში ხდება კალმახის წარმოება. 2017 წელს დაიწყო მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ოზურგეთში ნორვეგიული ორაგულის მოშენებას, ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს სალიფსიტე მეურნეობა.

გურია და მათ შორის ოზურგეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო მრავალფეროვანი და უნიკალური ვაზის ჯიშებით. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, გასული საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში აღწერა 420 ვაზის ჯიში (დღეისთვის აღწერილია 500-ზე მეტი), აქედან 59 გურიაში. ადგილობრივი მოტივირებული ადამიანების მიერ დაიწყო ადგილობრივი საღვინე და სუფრის ენდემური ჯიშის ვენახის გაშენება: ჩხავერი, სხილათუბანი, მტევანდიდი, ალადასტური, ჯანი, საკმიელა, თეთრი კამური, კლარჯული. 2022 წლის მონაცემებით ოზურგეთში ფუნქციონირებს 12 მცირე და საშუალო ღვინის მარანი. ადგილობრივი ღვინის მწარმოებლები მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართულ ფესტივალებსა და გამოფენებში, მიღებული აქვთ ჯილდო და პრიზები. 2022 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 100 ტონა შავი და 1160 ტონა თეთრი ყურძენი დაიწურა.

ცხრილი 8. მეურნეობების რაოდენობა ვენახებით, ვენახების ფართობი და ვაზის ძირების რაოდენობა რეგიონის მიხედვით - 2021

	მეურნეობების რაოდენობა ვენახებით (ათასი ერთეული)	ვენახების ფართობი (ათასი ჰა)	მრავალწლოვან ნარგავებში ვაზის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)	ვენახებში ვაზის ძირების რაოდენობა სულ (ათასი ერთეული)
საქართველო	**117,6**	**40,9**	**114 559,9**	**106 944,4**
გურია	3,0	-	-	-

წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია სამელიორაციო სამუშაოების გარეშე, მიმდინარე წელს, მნიშვნელოვანი სამელიორაციო სამუშაოები ტარდება მოლიანი-ჩოლოქი, ურეკის ზონის ტერიტორიების დასაშრობად.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2020-2022 წლებში განხორციელდა შემდეგი დაფინანსება:

1. „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში გაიცა 1 254 600 ლარის სესხი, რომლითაც ისარგებლა 175-მა ბენეფიციარმა;
2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი გაიცა 2 საწარმოზე - 160 000 ლარი;
3. „დანერგე მომავალი“ პროგრამით ისარგებლა 140-მა ბენეფიციარმა, გაშენდა 258ჰა ლურჯი მოცვის ბაღი, ჯამური დაფინანსება 8103000 ლარს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფოს წილი -6956211ლარია;
4. „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით“ ისარგებლა 2 ბენეფიციარმა, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 230000 ლარს;
5. ჩაის რეაბილიტაციის პროექტით თანადაფინანსება შეადგენს - 89677 ლარს, ისარგებლა 3-მა ბენეფიციარმა (24,9ჰა);
6. აგროდაზღვევით ისარგებლა 78 ბენეფიციარმა ღირებულებით 19 011 ლარი;
7. ახალგაზრდა მეწარმის პროექტით ისარგებლა 2-მა ბენეფიციარმა ღირებულებით 78 725 ლარი;
8. მექანიზაციის პროექტით ისარგებლა 29 ბენეფიციარმა ღირებულებით 403 963 ლარი;
9. AMMARI-ის პროექტით ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა თანადაფინანსებით 15863 ლარი;

2022 წელს პრემიერის ინიციატივით განხორციელდა თხილის ხელშეწყობის პროექტი, ამ პროგრამით ისარგებლა13 767 ბენეფიციარმა, ეს მოიცავდა მათ საკუთრებაში არსებულ 9300 ჰა-ს მიწის ფართობს და დაფინანსებამ 4 650 000 ლარი შეადგინა. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე (აგრარული ბაზარი, სხვადასხვა სუპერმარკეტები), ასევე მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ და ევროპაშიც[2].

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ ფერმერებს აქვთ კარგი შესაძლებლობები მექანიზაციასა და დარგობრივ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების მიზნით მოქმედებს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონსულტაციებს უწევენ ფერმერებს მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

გვალვიანი სავეგეტაციო პერიოდი გაზაფხულის მეორე ნახევარში და ზაფხულში აუცილებლობას ქმნის სარწყავი სისტემების ფუნქციონირების, ბოლო წლებში გაშენებულ ბაღებში დამონტაჟებულია სარწყავი სისტემები, რაც წინაპირობაა ხარისხიანი და რაოდენობრივად მზარდი მოსავლის მიღების.

სოფლის მეურნეობის სფერო რიგი გამოწვევების წინაშე დგას. ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგნილია მეურნეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 9. მეურნეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები რეგიონის მიხედვით, % 2021

	მეურნეობების წილი რომლებიც ფიქრობენ, რომ ვერ განვითარდებიან / შეწყვეტენ ფუნქციონირებას მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში	მათ შორის												
		სასოფლო-სამეურნეო მიწასთან ხელმისაწვდომობა	წყალთან ხელმისაწვდომობა	ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და დანადგარებთან ხელმისაწვდომობა	საშუალო ძალაზე ხელმისაწვდომობა	სხვა სოფლის მეურნეობის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა	არასაკმარისი მოთხოვნა მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციაზე	დაბალი ფასები მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციაზე	ნიადაგის ნაყოფიერების მემკვიდრეობა	ბუნებრივი კატასტროფები	უსაფრთხოების ნაკლებობა	ტრანსპორტირება ან/და ინფრასტრუქტურა	სხვა
საქართველო	**20**	**19**	**29**	**68**	**13**	**21**	**7**	**6**	**18**	**17**	**6**	**1**	**4**	**5**
გურია	11	17	14	95	1	13	20	8	37	12	4	0	12	0

მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება და ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მიმდინარე ეტაპზე მუნიციპალიტეტში წარმოების ახალი სხვადასხვა მიმართულება ამოქმედდა. ლურჯი მოცვის მასშტაბურად გაშენებამ გამოიწვია ახალი სამაცივრე მეურნეობების ჩამოყალიბება, მოეწყო მშრალი ხილის დამზადების საწარმოები, რაც მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მისცემს. ინტენსიურად იწყება არსებული ბუნებრივი რესურსების (ტყისა და ჰიდრო რესურსები, წიაღისეული) პოტენციალის გამოყენება. მოქმედ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ვაჭრობის დარგზე, ასევე შედარებით მაღალია სასტუმროებისა და რესტორნების მიმართულების მაჩვენებლი, რომლებიც ძირითადად საკურორტო ზონებშია განთავსებული. ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში აშენდა 3 დიდი მაღალი კლასის სასტუმრო, ხოლო 10-მდე საოჯახო სასტუმრო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებობს გადამამუშავებელი, სამთო მომპოვებელი და ტექსტილის წარმოების ბიზნეს საქმიანობის განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი.

[2] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური; სოფლის განვითრების სააგენტოს გურიის რეგიონალური სამსახური

რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ (მოსახლეობის 1000 კაცზე) 2022 წელს 127, 3 შეადგინდა , ხოლო 2021 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 22,5 მლნ ლარი. 2023 წლისთვის მოქმედია 227 ბიზნეს სუბიექტი.

2018 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში 62%-ია და 0,4%-იანი ზრდით ხასიათდება (2020-2022წ) სექტორულ ჭრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, 54%-იანი ზრდით ხასიათდება სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის 77% მოდის. მუნიციპალიტეტში 1451 ინდ.მეწარმეა, ხოლო 350 - შპს.

დიაგრამა 15. ოზურგეთში მოქმედი სუბიექტების რაოდენობა



წყარო: საქსტატი

საინვესტიციო პოტენციალის მიმართულებით მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია (ადამიანური, კაპიტალური, გეოგრაფიული). საჭიროა მზადდებოდეს საინვესტიციო პროექტები, დაიბეჭდოს საინვესტიციო კატალოგი, ასევე მომზადდეს საინვესტიციო შეთავაზებები ინვესტორთა მოსაზიდად მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის ფინანსური რესურსების მოძიებისათვის გამოიყენება რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის მომსახურება. სახელმწიფო ახორციელებს პროექტებს (სოფლის განვითარების სააგენტო, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“), რომელიც წარმოება/მომსახურების სფეროებს აფინანსებს. კონკურსის შედეგებით საკმაოდ მაღალია დამტკიცებული ბიზნეს გეგმების რაოდენობა, რომლის ძირითადი მიზეზია მომზადებული ბიზნეს გეგმების მაღალი ხარისხი. 2020-2022 წელს მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 79 ბენეფიციარი 2508000 ლარით. დაინტერესებული მეწარმეები და ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოს და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

„აწარმოე საქართველოს“ ბიზნეს უნივერსალის პროექტით ისარგებლა 13-მა ბენეფიციარმა, დაფინანსდა 3 595 000 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სპეციალისტები ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ და ეხმარებიან ელექტრონული განაცხადის მომზადებაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობისათვის მოუხერხებელია და საჭიროა მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა გადამზადება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის. რამდენიმე ბანკი ჩართულია სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში“, რომელიც საპროცენტო განაკვეთის 11%-ის თანადაფინანსებას ითვალისწინებს.

ბიზნესის მხრიდან საკრედიტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია: მაღალი ლიკვიდურობის გირაოთი უზრუნველყოფის მოთხოვნა; აქაც აწარმოე საქართველოს სპეციალური პროექტებით ხდება სესხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა საგარანტიო სქემით. სესხების გაცემა ხდება ძირითადი საშუალებების შესაძენად და ნაკლებად საბრუნავი საშუალებებისათვის; მეწარმეებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას, მაღალია საპროცენტო განაკვეთი; დამწყები მეწარმე ვერ ახერხებს სესხის აღებას, ამასთან მოითხოვება 6 თვიანი გარანტირებული შემოსავალი სხვა საქმიანობიდან. მუნიციპალიტეტი საფინანსო სექტორსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის ინიციატორია, ასევე უზრუნველყობს მოსახლეობისათვის საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ტრადიციული და ინოვაციური ბიზნესიდეების დაფინანსებისათვის ხელშეწყობი პროგრამების არსებობა. ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასე თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სხვადასხვა პროგრამების საშუალებით.

მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არსებული მზის ენერგიის ენერგეტიკული რესურსი შესაძლებელია (კონკრეტულ ტერიტორიებზე) გამოყენებული იქნას მცირე ზომის სასტუმროების, საზოგადოებრივი შენობებისა და საცხოვრებელ შენობების ცხელი წყლით მომარაგების მიზნით. აღსანიშნავია, რომ არსებობს ბიოგაზის სექტორის განვითარების პოტენციალი, რადგან მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეცხოველეობა. ასევე შესაძლებელია ბიომასის (თხილის ნარჩენები და სახერხების ნარჩენები) და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება 2016 წელს სოფ. დვაბზუში გაიხსნა ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც წელიწადში გადაამუშავებს 1,000 ტონა თიხას. უნდა აღინიშნოს, რომ მოუწერიგებელია წიაღისეულის (ინერტული მასალა - ქვიშა, ხრეში) მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემის წესები, რადგან ხშირ შემთხვევაში ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლის გარეშე ხდება ლიცენზიის გაცემა, ხშირად ლიცენზიანტი გამოყოფილ ფართობზე ვერ ამოიღებს იმ რაოდენობით ქვა-ღორღს, რაც ლიცენზიაშია გათვალისწინებული და ახდენს მდინარეში შესვლას და დაურეგისტრირებელ ადგილზე მოპოვებას. შედეგად საფრთხე ექმნება ინფრასტრუქტურას, სასმელი წყლის დონეს ჭაში, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

დიაგრამა 16. ბიზნეს სექტორის ბრუნვა (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

ამასთან, შემცირებულია ოზურგეთის ბიზნეს სექტორის გამოშვების მაჩვენებელი ლარებში, 2021 წლისთვის 321 მლნ. ლარია, ამასთან შემცირებულია წილი გურიის რეგიონში ბიზნეს სექტორის გამოშვებაში.

დიაგრამა 17. ბიზნეს სექტორის გამოშვება (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში 2021 წელს 6042 მოქალაქეა დასაქმებული, რაც გურიის რეგიონის 69,7%-ია.

დიაგრამა 18. დაქირავებით დასაქმება ბიზნეს სექტორში



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მონაცემები გენდერულ ჭრილში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არ არის, ამიტომ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა რეგიონალურ ჭრილში მაჩვენებლები და მის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

ცხრილი 10. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, სქესის და ზომის მიხედვით

	ქალი	კაცი	სულ
გურია	**3 004**	**5 663**	**8 667**
მსხვილი	366	574	940
საშუალო	598	1 019	1 617
მცირე	2 040	4 070	6 110

წყარო:სექსტატი
წყარო: სამუშაო ჯგუფის შეფასებით

დიაგრამა 19. დასაქმება საწარმოთა ზომის და სქესის მიხედვით



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი 2021 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია.

დიაგრამა 20. დაქირავებით დასაქმება ბიზნეს სექტორში



წყარო: სექსტატი

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია შრომის საშუალო ანაზღაურება.

დიაგრამა 21. შრომის საშუალო ანაზღაურება (ლარი)



წყარო: საქსტატი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2021 წელს 135 მილიონი ლარია, რაც რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების 62,6%-ია. 2019 და 2020 წელთან შედარებით შემცირებულია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს პანდემიით.

დიაგრამა 22. დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 2020 წელთა შედარებით შრომითი დანახარჯები გაზრდილია, ასევე გაზრდილია წილი რეგიონის შრომით დანახარჯებში და 74,7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 23. შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

ბოლო წლების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ინვესტიციების რაოდენობა 2018 და 2020 წელთან შედარებით შემცირებულია. აღსანიშნავია, რომ რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების 69,9% ოზურგეთზე მოდის.

დიაგრამა 24. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი

ტურიზმი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს როგორც ზღვისპირეთში, ასევე ალპურ ზონაში. საქართველოში არსებული ოთხი სარეკრეაციო სტატუსმინიჭებული კურორტიდან ერთ-ერთი - ურეკი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. 2022 წელს ურეკს 100 000 დამსვენებელი ეწვია.

დიაგრამა 25. შიდა ვიზიტორების მიერ მონახულებული რეგიონი



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლოს დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთის კურორტებია ურეკი და შეკვეთილი, სამთო კურორტი გომისმთა.

მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალებად ასევე შესაძლებელია მიჩნეული იქნას საცხენოსნო და საფეხმავლო და სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვა ისტორიულ ძეგლების და მაღალმთიანი ადგილების დასათვალიერებლად. აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ნაციონალური სუვენირების საწარმოებლად. აღნიშნული პროდუქციის რეალიზება მოხდება სასტუმროთა ქსელში, პანსიონატებში, კურორტებსა და სავაჭრო მარკეტებში. ამ მიზნით შესაძლოა ხელი შეეწყოს შესაბამისი მომზადებისა და გადამზადების კურსების მიწოდებას. მომდევნო ეტაპი კი შესაძლოა იყოს საერთაშორისო თუ სახელმწიფო ფონდების დახმარებით მცირე ზომის საწარმოების ფორმირება-განვითარება. მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წყაროა სარეკლამო კამპანიის ევროსტანდარტების დონეზე განხორციელება, რათა მაქსიმალურად მოხდეს ტურისტების საზღვარგარეთიდან მოზიდვა. ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში რეალიზებისათვის, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები და მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ ძირითად მიზნად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს გომის მთისა და დაბა ურეკის ტურისტული პოტენციალი.

გომისმთა - კურორტი მდებარეობს გურია-აჭარის ქედზე და მისი მწვერვალის სიმაღლე 2,100 მეტრიდან 2,755 მეტრამდეა. მთისათვის დამახასიათებელი კლიმატის გამო ის ცნობილია როგორც საზაფხულო აგარაკი. გომისმთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით. მისი განუმეორებელი ბუნება და 2,500 მეტრ სიმაღლეზე არსებული ჭინჭაოს ტბა განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. კურორტის უნიკალური პირობები დღესაც აუთვისებელია. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში დააკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნებს. 2022 წელს გომისმთას ეწვია 10000-მდე ტურისტი და ვიზიტორი (მიმდინარეობს გზის მშენებლობა).

ზღვისპირა კურორტი ურეკი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კურორტს დასავლეთით შავი ზღვა ეკვრის, აღმოსავლეთით გარშემორტყმულია მთებით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდინარეების სუფსისა და ნატანების დაბლობებია. მაგნიტური ქვიშა კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს. კურორტის პოტენციალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, პერიფერიული ორგანოების და საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების სამკურნალოდ როგორც მოზარდებში, ასევე ბავშვებში. ასევე დიდი პერსპექტივები აქვს ანალოგიური თვისებების შავიზღვისპირა კურორტებს შეკვეთილს (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტურისტული ლოკაციებით: ჯუმათის მონასტერი, შემოქმედის ეკლესია, მთისპირში მდებარე ფარული ტბა, ექადიის ტყეპარკი, ლიხაურში მდებარე აჭის ხეობა და თამარ მეფის ციხე. საჭიროა მათი განვითარება, საკემპინგე ადგილების მოწყობა, ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რათა ზღვიდან მთამდე გადაადგილებისას ტურისტის მუნიციპალიტეტში დაყოვნების შესაძლებლობა მიეცეს.

მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს სასტუმროების მშენებლობა ურეკსა და შეკვეთილში, შესაბამისად, გაიზარდა კურორტებზე დამსვენებლების მიღების შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი რესურსი აქვს ბალნეოლოგიური კურორტის განვითარებისათვის. კურორტი ნასაკირალი 1930-იან წლებში იწყებს ფუნქციონირებას, სადაც 4,000-მდე დამსვენებელი იღებდა მომსახურებას წყლის აბაზანების და სამკურნალო სასმელი წყლის გამოყენებით. 2018 წელს მუნიციპალიტეტის დაკვეთით ჩატარდა წყლის ჰიდრო-გეოლოგიური კვლევა, მომზადდა წყლის ანალიზი.

ოზურგეთში წლებია ტარდება ღვინის ფესტივალი, ეწყობა ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა (ჩაის, ჩირის, ჩურჩხელის და ა.შ.), რაც შესაძლებლობას ქმნის ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციისათვის და ტურისტების მოზიდვისათვის.

დიაგრამა 26. შიდა ვიზიტორების მიერ მონახულებული ქალაქი / მუნიციპალიტეტი



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სიახლოვე ბათუმის და ფოთის პორტებთან და ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებთან მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კარგ გარემოს ქმნის. სტატისტიკური მონაცემებით მხოლოდ ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებიდან ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების 20% მოდის.

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში და არსებული სოციო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საგზაო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საერთო სახელმწიფოებრივი და შიდა გზები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთო სახელმწიფოებრივი და შიდა გზების საერთო სიგრძე შეადგენს 1544 კილომეტრს, 2023 წლის მდგომარეობით მოწესრიგებულია შიდა გზების 23,8 %.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფი (წყალწმინდა - ჩოლოქის ხიდი) გზის 12,4 კმ მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 105,4 კმ-ს. (იხ. ცხრილი 1).

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იხარჯება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის. დღეისათვის შიდა გზების მხოლოდ 23.8%-ია დაფარული ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის საფარით. მუნიციპალიტეტში დიდია გზის ისეთი მონაკვეთების რაოდენობა, რომელიც ტრანსპორტისათვის (მათ შორის სასწრაფო, სახანძრო და სხვა კრიტიკული სიტუაციებში გამოსაყენებელი ტრანსპორტისათვის) ძნელად გასავლელი ხდება წვიმებისა და სტიქიური მოვლენების გამო. ამ გზების მოწესრიგება აუცილებელია, რადგანაც სოფლებში მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას, რადგან გაძნელებულია დაკავშირება მუნიციპალიტეტის ცენტრთან, სამუშაო ადგილებთან, სავაჭრო ცენტრებსა და გასაღების ბაზრებთან, ჯანდაცვისა და განათლების ობიექტებთან. ეს კი საბოლოოდ ხდება მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ახორციელებს სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას. ეტაპობრივად ხორციელდება შიდა გზების აღდგენითი სამუშაოები. მიმდინარე წელს ხორციელდება შიდა გზების რეაბილიტაცია ექვს ლოკაციაზე (დანართი 1), ხოლო შიდა სასოფლო გზების პრობლემურ მონაკვეთებზე ხორციელდება ბეტონის საფარის მოწყობა. აქტიურად ხორციედება შიდასახელმწიფოებრივი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საავტომობილო გზების მართვის და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების, ველობილიკების განთავსების, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების უზრუნველყოფის და დგომა-გაჩერების დარეგულირებისათვის ხორციელდება საავტომობილო გზების მართვის და საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

სატრანსპორტო, საავტომობილი და სარკინიგზო გზების ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ცენტრი - ქალაქი ოზურგეთი წარმოადგენს გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც დედაქალაქიდან დაშორებულია 320 კმ-ით, ქალაქ ბათუმიდან 55 კმ-ით, ქ. ფოთიდან 45 კმ-ით, ქ. ქუთაისიდან - 90 კმ-ით. მანძილი ქ. ოზურგეთიდან ბათუმის საზღვაო პორტამდე შეადგენს 49,5კმ-ს, ბათუმის აეროპორტამდე -57,5 კმ-ს, ბათუმის სარკინიგზო სადგურამდე 51,5 კმ-ს. მანძილი ქ. ოზურგეთიდან ქ. ფოთის საზღვაო პორტამდე შეადგენს 49 კმ-ს, ქუთაისის აეროპორტამდე შეადგენს 68,1კმ-ს, ქ. თბილისის აეროპორტამდე მანძილი შეადგენს 329კმ-ს, ქ. თბილისის სარკინიგზო სადგურამდე -312 კმ-ს. აღნიშნულ ქალაქებთან დამაკავშირებელი შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზები კეთილმოწყობილი და გამართულია.

დღეისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების ცენტრებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრამდე დამაკავშირებელი გზების საფარი მოწყობილია ასფალტობეტონით. მიმდინარეობს შემოქმედი-გომის მთის გზის სარეაბილიტაციო სამუშოები, რაც მნიშვნელოვანია კურორტი გომის მთის დამსვენებლების და ვიზიტორების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების თვალსაზრისით.

ქ. ოზურგეთის საავტომობილო სადგურებია: „ცენტრალური სადგური“, „გმირთა მოედანი“, „რკინიგზის სადგურის მოედანი“.

რკინიგზის სიგრძე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს 30კმ-ს. აქედან მთავარ მაგისტრალზე (ურეკი - მდ. ჩოლოქის ხიდი) 12 კმ-ია და ნატანები - ქ. ოზურგეთის სარკინიგზო შტო შეადგენს 18 კმ-ს. აღმოსავლეთ-დასავლეთის მთავარი სარკინიგზო ხაზი - ,,ოზურგეთი--თბილისი“, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სადგურები: ოზურგეთი-მერია-ნატანები-ურეკი. სარკინიგზო ხაზი: ,,ოზურგეთი-ბათუმი“, სადგურები: ოზურგეთი-კახური-პლატფორმა ,,მე-11 კმ“-მერია-ნატანები-ჩოლოქი.

მგზავრთა გადამყვანი სამარშრუტო ხაზები

რეგულარული საავტომობილო საქალაქთაშორისო მარშუტები: ოზურგეთი -თბილისი, ოზურგეთი-ბათუმი, ოზურგეთი-ქუთაისი, ოზურგეთი-სამტრედია, ოზურგეთი-ფოთი, ოზურგეთი-ლანჩხუთი.

ხიდები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზებზე მოწყობილია 209 სახიდე გადასასვლელი, საერთო სიგრძით 2520 მეტრი, მ.შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე 177 ერთეული ხიდი, საერთო სიგრძით - 1316 მეტრი. ეტაპობრივად ხორციელდება ხიდების რეაბილიტაცია. გასულ წლებში განხორციელდა მდ. ნატანებზე ვაკიჯვარი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელი ხიდის და მდ. რობაზე სოფ. სილაურში არსებული ხიდის მოწყობა. იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე სხვადასხვა ლოკაციაზე, რვა ერთეული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

მიმდინარე წელს ხორციელდება ქ. ოზურგეთში მდ. ბჟუჟზე საფეხმავლო 144 გრძ. მეტრი სიგრძის ხიდის მოწყობა, რომელიც დააკავშირებს ქალაქის ტერიტორიაზე სანაპიროს ქუჩის საზოგადოებრივ სივრცეს და წმ. გიორგის ქუჩაზე არსებულ ექადიის ტყე-პარკს, რაც მნიშვნელოვანია ქალაქის ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის დასვენებისა და სანახაობრივი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

კომუნალური ინფრასტრუქტურა

სასმელი და სარწყავი არხები

სასმელი და სარწყავი არხების ფუნქციონირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასახლებულ ერთეულებში სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. აღნიშნული არხებით იკვებება მოსახლეობის ინდივიდუალური მოხმარების არტეზიული ჭები. ასევე მნიშვნელოვანია სარწყავი არხების გამართულ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ზონები, საირიგაციო სისტემები:

1. მდ. ბჟუჟზე შემოქმედის სარწყავი არხი-5 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 275 ჰა. სოფლები-შემოქმედი, წითელმთა, ბოხვაური.
2. მდ. ნატანებზე ვაკიჯვარის სარწყავი არხი-9 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 129 ჰა. სოფლები-ვაკიჯვარი, ბაღდადი, ბახვი, ქვედა ბახვი.
3. მდ. ნატანებზე ბახვის სარწყავი არხი-6 კმ.
   ჩამოკიდებული ფართობით 206 ჰა. სოფლები-ბახვი, ფამფალეთი, ბაღდადი.
4. მდ. ნატანებზე ბაღდადის სარწყავი არხი-6 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 112 ჰა. სოფლები-ბაღდადი, გაღმა დვაბზუ.
5. მდ. ნატანებზე ცხემლისხიდის სარწყავი არხი-10,9 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 335 ჰა. სოფლები-ცხემლისხიდი, შემოქმედი, ბოხვაური, ლაშე.
6. მდ. ნატანებზე ,,მეურნეს“ სარწყავი არხი-10,8 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 228 ჰა. სოფლები-მელექედური, სოფ. ოზურგეთი, გურიანთა.
7. მდ. აჭისწყალზე ლიხაურის სარწყავი არხი-3,2 კმ. ჩამოკიდებული ფართობით 75 ჰა. სოფლები-ლიხაური.

სულ: 50,9 კმ, ჩამოკიდებული ტერიტორია-1360 ჰა.

მიწათმოსარგებლეთა ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დამშრობქსელიანი ფართობების სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ დასავლეთ რეგიონალური სამსახურის რიონი-ჩოლოქის სერვისცენტრი.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 3720ჰა ფართობზე მოწყობილია 6 დამშრობი სისტემა. დამშრობი არხების საერთო სიგრძე შეადგენს 322,59 კმ-ს, აქედან კოლექტორული ქსელი -24,14კმ, ხოლო შემკრები ქსელი - 298,45კმ. დამშრობი სისტემები და ფართობები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ლეკიანის დამშრობი მასივი - 605ჰა;
2. მეკრძელა-კაპროვანის დამშრობი მასივი - 645 ჰა;
3. მოლიან-ჩალიანის დამშრობი მასივი - 482ჰა;
4. სეფა-ჩირეს დამშრობი მასივი -320ჰს;
5. ურეკის დამშრობი მასივი - 169 ჰა;
6. სისტემებს გარეთ არსებული (სახელმწიფო) დამშრობი მასივები -1499ჰა.

ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა 320ჰა დამშრობქსელიანი ფართობი და რეაბილიტირებულია 1420ჰა დამშრობქსელიანი ფართობი.

წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული სისტემებით მიეწოდება მოსახლეობის 50%-ს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყალმომარაგება ხორციელდება ქ. ოზურგეთში, დაბა ნარუჯაში და ურეკი-შეკვეთილი- კაპროვანის საკურორტო ზოლში. მუნიციპალიტეტის 15 დასახლებაში წყალმომარაგება ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს „სატისი“-ს მიერ. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე. ქსელის ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას, რის გამოც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დაგეგმილია წყალმომარაგების ქსელების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.
მწვავედ დგას წყალმომარაგების სიტემების მოწესრიგების საკითხი სოფლად დასახლებულ მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. წყალმომარეგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების ღონისძიებების უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ სრულდება წყალმომარაგების სისტემის მოწყობა ვაკიჯვარის, ფამფალეთის, ბაღდადის ბახვის და ქვ. ბახვის დასახლებებში. მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწყობა დვაბზუს, გაღმა დვაბზუს, ცხემლისხიდის და მშვიდობაურის დასახლებულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ს. ნატანებში, ხრიალეთში, ნასაკირალში წყალმომარაგების გაფართოების სამუშაოები.

მომზადდა საპროექტო დოკუმენტაციები ს. ოზურგეთის, ციხისფერდის და გურიანთის წყალმომარაგების ქსელების მოწყობის სამუშაოებზე. მიმდინარეობს წყალმომარაგების გარეშე დარჩენილ დასახლებებში წყალმომარაგების ქსელების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და დაგეგმილია წყალმომარაგების ქსელების სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება მერიის, კონჭკათის, თხინვალის, მელექედურის და ნაგომარის ტერიტორიულ ერთეულებში.

წყალარინების ქსელი მოწყობილია ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიის ნაწილში, (საკანალიზაციო ქსელის სიგრძე შეადგენს 34 კმ-ს) და ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 60 %. ქალაქ ოზურგეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს საკანალიზაციო სისტემით, ქსელის არ არსებობის გამო. იმ ქუჩების ჩამდინარე წყლები, სადაც საკანალიზაციო ქსელი არ არსებობს, პირდაპირ ჩაედინება მდინარეებში, რაც თავის მხრივ ქმნის გარემოს დაბინძურების სერიოზულ რისკებს და იქმნება მძიმე სანიტარული მდგომარეობა. არ არსებობს ქალაქ ოზურგეთის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობა, რის გამოც იქმნება მძიმე სანიტარული მდგომარეობა. მომდევნო

პერიოდში კრიტიკულად აუცილებელია ქალაქ ოზურგეთის საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ქალაქის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით.

წყალარინების ქსელით უზრუნველყოფილია ურეკი-შეკვეთილი-კაპროვანის საკურორტო ზოლი.

ელექტრომომარაგების და გაზიფიცირების სისტემები

მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე ელექტრომომარაგების ქსელის დაფარვა შეადგენს 100%-ს. გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 90%. მიმდინარე წელს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ სრულდება გაზიფიცირების ქსელების მოწყობის სამუშაოები ჯუმათის და მთისპირის ტერიტორიულ ერთეულებში, სოფელ გოგიეთში და დვაბზუს ნასაკირალში. გაზიფიცირების გარეშეა დარჩენილი კურორტი გომის მთა.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

საკურორტო, სარეკრეაციო და გასართობი ინფრასტრუქტურა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ერთი რეკრეაციული შავი ზღვისპირა კურორტი დაბა ურეკი-შეკვეთილი და საკურორტო ადგილები: გომის მთა, ვაკიჯვარი და ნასაკირალი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აუცილებელია საკურორტო და გასართობი ინფრასტრუქტურის არსებობა, რათა დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის შეიქმნას კომფორტული გარემო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - შეკვეთილის ტერიტორიაზე მდებარეობს დენდროლოგიური პარკი, ატრაქციონების პარკი ,,ციცინათელა“, ზღვისპირა დაბა ურეკსა და ქალაქ ქობულეთს შორის, შეკვეთილში, ატრაქციონების პარკ “ციცინათელას” მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურისტულ–რეკრეაციულ პარკშია გაშენებული ,,საქართველო მინიატურებში” - ქვეყნის კულტურულ–არქიტექტურულ ძეგლთა მაკეტები 2 ჰექტარ ფართობზე. პარკში წარმოდგენილია 44 არქიტექტურული ძეგლის მინიატურა. შეკვეთილში საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ განთავსებულია „მუსიკოსების პარკი“. დაბა ურეკში მდებარეობს გასართობი პარკი ,,იმედი“, წვერმაღალას ტყე-პარკი. დაბა ურეკისა და შეკვეთილის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 70 -ზე მეტი სასტუმრო და დასასვენებელი სახლი 1,300-ზე მეტი ოთახით. რესტორნები და კვების დაწესებულებები. დაბა ურეკში მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა. გარდა ამისა დიდია დაურეგისტრირებელი საოჯახო სასტუმროების რიცხვი.

წინა წლებში განხორციელდა ურეკი-შეკვეთილის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის მშენებლობა, რომელმაც მნიშვნიელოვნად გააუმჯობესა და კომფორტული გახადა დამსვენებელთა და ვიზიტორთა პირობები, ასვე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კურორტის ბიზნესგარემო.

შედარებით კეთილმოუწყობელია კურორტ გომის მთის ინფრასტრუქტურა. 2016 წელს დაიწყო გომის მთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 2018 წელს და კურორტის ტერიტორიაზე არსებულ სააგარაკო სახლებს საშუალება აქვთ ისარგებლოს სასმელი წყლით. მიმდინარეობს შემოქმედი-გომისმთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მომზადებულია გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის დამტკიცება მოხდება საკრებულოს მიერ.

სოფელ ვაკიჯვარში რეაბილიტირებულია საგზაო სისტემა, მოწყობილია წყალმომარაგება და დასახლება მთლიანად გაზიფიცირებულია.

სკვერები, პარკები, ნაკრძალები

საკურორტო ინფრასტუქტურის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციას. ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების დასვენებისა და გართობის მიზნით ყოველწლურად ხორციელდება პარკებისა და სკვერების მოწყობა და არსებული სივრცეების განახლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 30 ერთეული 412284,70 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. რეაბილიტირებული პარკების წილი შეადგენს 50%.

ქალაქ ოზურგეთში დასრულდა ქ. ოზურგეთში, ნინოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა, ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია, დასრულდა ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, განხორციელდა ქ. ოზურგეთში თეატრის სკვერის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები.

დასრულდა დაბა ურეკში ბულვარის მშენებლობა. მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა.

ტურიზმთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურა
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შეკვეთილში განთავსებულია 7,523 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი (BLACK SEA ARENA) ამ რესურსის გამოყენება და პოპულარიზაცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. გასულ წლებში დასრულდა ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიული სენობის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს ქ. ოზურგეთში კინოთეატრის შენობის განახლება, ახალგაზრდობის დასვენებასა და გართობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს რიგი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით:

1. სოფლად არსებული დასახლებების წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რებილიტაცია, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც აუცილებელი პირობაა მიგრაციის შესამცირებლად;
2. მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, რაც მნიშვნელოვანია მოსახლეობის საჭიროებებზე დროული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;
3. ქალაქ ოზურგეთის წყალარინების ქსელის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ქალაქის ტერიტორიის გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ასევ აქტუალურია ქალაქის კომერციული ობიექტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რაც იქონიებს დადებით გავლენას ეკონომიკური განვითარების კუთხით.
4. 4. ურეკი-შეკვეთილის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით შიდა გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ურეკი-შეკვეთილის დამაკავშირებელი ხიდის მოწობა მდ. სეფაზე, ურეკის ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის მოწყობა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებელი ფაქტორია ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით;
5. კურორტ გომისმთის შიდა ტერიტორიის (შიდა გზები, საზოფგადოებრივი სივრცეები) ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც გაზრდის დამსვენებელთა ინტერესს;
6. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, რაც იძლევა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორების კომფორტული მომსახურების შესაძლებლობას.

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და დანაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;
- პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, მათ შორის, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.
- ენდემური დაავადებების პრევენცია და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ვირუსული ჰეპატიტის C; B; აივ ინფექციის დროული გამოვლენა და პრევენცია;
- მუნიციპალიტეტში ენდემური დაავადება არის ჩიყვი;
- მუნიციპალიტეტში ყველა სოფელში არის სამედიცინო პუნქტი (სულ 29 ამბულატორია). ამბულატორიებს ემსახურება 37 ექიმი;
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 კერძო სამედიცინო დაწესებულება (საავადმყოფო, თვალის კლინიკა, დიალეზის ცენტრი, სამედიცინო დახმარების და ბავშვთა სამკურნალო ცენტრი); 17 სტომატოლოგიური დაწესებულება;
- საწოლების რაოდენობა მოსახლეობასთან მიმართებით შეადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.3%;

სოციალური მომსახურება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 6.8%-ია. ეს მონაცემი ბოლო წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, პენსიონერთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 28,35%-ია. ეს მონაცემი ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილია. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 2023 წლის მაისის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 9502 ოჯახი, 30744 პირი, რაც მოსახლეობის 53%-ს შეადგენს. უშუალოდ საარსებო შემწეობას იღებს და სოციალურად დაუცველთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 2,151 ოჯახი (ჯამში 9396 პირი). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1,999 პირი და 329 მარჩენალდაკარგული ოჯახი. მუნიციპალიტეტში ომის მონაწილე 445 პირია რეგისტრირებული; ცხოვრობს 62 იძულებით გადაადგილებული მოქალაქე.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველი ოჯახების თავშესაფრით დაკმაყოფილებაზე.

ზოგადად, მუნიციპალიტეტში სოციალური ფონი ჯერ კიდევ მძიმეა და მისი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, ძლიერი სოციალური ადგილობრივი და ცენტრალური პროგრამის განხორციელების პარალელურად, გატარდეს ეკონომიკური აქტივობის გაზრდისაკენ მიმართული ქმედითი ღონისძიებები. თუმცა აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველ პირთა სახელმწიფო დასაქმების პროგრამა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალური ფონის გაუმჯობესებისკენ.

მუნიციპალიტეტში კვლავ შეინიშნება რთული დემოგრაფიული მდგომარეობა. უარყოფითია როგორც მოსახლეობის მიგრაციის, ისე ბუნებრივი მატების დინამიკა. შეინიშნება როგორც ბუნებრივი ასევე მექანიკური (მიგრაცია) კლება. დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს შიდა და გარე მიგრაცია. მიგრაციული პროცესები, გამოწვეულია როგორც ეკოლოგიური, რთული სოციალური მდგომარეობით. შრომისუნარიანი მოსახლეობა მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, საქართველოს დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიემგზავრება.

დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, აუცილებელია დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება ბიზნეს სექტორის (მათ შორის ტურისტული და გასართობი), ასევე გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების მიმართულებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში მხარდაჭერაა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიც სწორედ ამ სფეროზეა ორიენტირებული და მორგებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

1.5. განათლება, კულტურა, სპორტი

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

სკოლამდელი განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახ ურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების 44 დაწესებულება, მათ შორის: ქალაქ ოზურგეთში -7, დაბებში-6, სოფლად-30. რეგისტრირებულია 1996 აღსაზრდელი (მათ შორის 979 გოგო , ბიჭი 1017). ბაღებში დასაქმებულია 102 პედაგოგი და 8 ფსიქოლოგი.

ა(ა)იპ ოზურგეთის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებულია 39 თანამშრომელი. ბაგა-ბაღების გაერთიანება წლიურად ფინანსდება 7 150 000 ლარით, ამ თანხიდან 841 364 ათასი ლარი გამიზნულია ბავშვთა კვებით უზრუნველყოფაზე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში აშენდა ორი საბავშვო ბაღი, სოფელ ნასაკირალსა და სოფელ ხვარბეთში. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს დაიწყება 8 ახალი საბავშვი ბაღის მშენებლობა.

ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 42 საჯარო სკოლა და 2 სასულიერო გიმნაზია. საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაწილს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება კვლავ დგას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი პროფესიული კოლეჯი, რომელშიც 51 პედაგოგია დასაქმებული. კოლეჯს 2011 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და იგი 550 სტუდენტის მომსახურებაზეა გათვლილი. პროფესიული კოლეჯის შესაძლებლობები არ არის საკმარისი რეგიონში მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ასევე ფუნქციონირებს ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც 33 მეცნიერ-მუშაკია დასაქმებული. ინსტიტუტს მუშაობის 80-წლიანი გამოცდილება აქვს და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანა-გადამუშავების კვლევის სფეროში იგი ერთადერთია ქვეყანაში.

მუნიციპალიტეტის მიერ ხდება საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა.

- საჯარო სკოლების წარმატებული აბიტურიენტები წახალისდება ფულადი ჯილდოთ (100%-იანი გრანტის მფლობელები- 3000 ლარით. გრანტის მფლობელი აბიტურიენტის სკოლა, -1500 ლარით.
- ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულები წახალისდებიან ფულადი ჯილდო-300 ლარით
- მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების მიღწევების მქონე და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაფასება.
- 14 აპრილი - დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდება კალიგრაფიის კონკურსი რომელიც მიზნად ისახავს კალიგრაფიის პოპულარიზაციას, ხელით წერით კულტურის განვითარებასა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. გამოვლინდება გამარჯვებულები, გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები.
- პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება შემოქმედებითი აკადემიური უნარების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდებისა და მოსწავლეების დაფინანსება სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, გაცვლით პროგრამებში. ასევე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ვიზიტი თანამშრომლობითი უნარების, ევროპული ღირებულებების,

გამოცდილებების გაზიარების, მოსწავლეების უცხოელ თანატოლებთან დამეგობრების და დიპლომატიის განვითარების მიზნით
- ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა სსმ, შშმ შესაძლებლობის მქონე და მოწყვლადი ჯგუფის მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტეგრაცია და სოციალიზაცია. მათთვის საჭირო სასწავლო, მატერიალურ რესურსებზე და სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობა და სხვა.
- წლის რჩეულის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემა სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, მოსწავლე/ ახალგაზრდებს , რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ განათლების, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის,ტექნოლოგიის, მედიცინის მიმართულებით. ასევე, პირს რომელიც წარადგენს თავის კუთხეს(გურიას) საერთაშორისო დონეზე და წვლილს შეიტანს ევროპული ღირებულებების გავრცელებაში. წლის რჩეულის კანდიდადტურის წარდგენა მოხდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ასევე ორგანიზაციების ინიციატივით (წლის განმავლობაში არაუმეტეს 5 ადამიანისა).
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა.
- სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით
- განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას. დაგეგმილი ღონისძიებების გზით საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარებას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემას, ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების ხელშეწყობას, ახალი იდეების მხარდაჭერას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს ინოვაციური პროექტების ხელშეწყობას და სხვა.

პროგრამების ეფექტურად განხორციელება ხელს უწყობს, მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი ცნობადობის ზრდასა და პოპულარიზაციას, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნას, საზოგადოების მოტივირებას და მუნიციპალიტეტის პოზიციონირებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ღონისძიებების ეფექტიანობა განპირობებულია იმით, რომ განხორციელებული პროექტებში ადგილობრივი მეწარმეების ჩართულობით იზრდება ტურისტების ინტერესი მუნიციპალიტეტში არსებული პროდუქციის მიმართ, მათ ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მასტერკლასებში და შეიძინონ ადგილობრივი მეწარმეების მიერ დამზადებული ნაწარმი.

საყოველთაო ღონისძიებები დიდ გავლენას ახდენს იმ ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაზე, სადაც ის იმართება, მას შეუძლია მოიზიდოს დამსწრეთა დიდი რაოდენობა, ხელს უწყობს რეგიონის კულტურულ, ბიზნეს და ტურისტულ განვითარებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც ამ ეტაპზე არ საჭიროებს რეაბილიტაციას. კულტურისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 10 სასოფლო კლუბი, ესენია: ნატანების, მთისპირის, ძიმითის, ლიხაურის, მაკვანეთის, ჭანიეთის, ასკანის, დვაბზუს და ბახვის.

სახელოვნებო წრეების ბენეფიციართა რაოდენობა სულ 152 (მათ შორის გოგო - 71, ბიჭი - 81). ძიმითის კლუბი სრულად რეაბილიტირებულია, დანარჩენი კლუბები კი საჭიროებენ სრულ რეაბილიტაციას.

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში მდებარეობს სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი უძველესია. შენობის მშენებლობას საფუძველი 1934-35 წლებში ჩაეყარა, თუმცა შენობის დამთავრება 60-იან წლებში მოხერხდა.

ფონდი „ქართუ"-ს მხარდაჭერით თეატრს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რომელიც 2020 წელს დასრულდა.

ქალაქში მდებარეობს ცენტრალური ბიბლიოთეკა 10,000-მდე წიგნადი ფონდით (რომელიც საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას) ასევე მდებარეობს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი, კულტურისა და დასვენების პარკი, სამკუთხა პარკი, ახალრეაბილიტირებული სკვერები, სამხატვრო სკოლა, შემოქმედებითი, ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერის შემსწავლელი რამდენიმე სტუდია, სახელოვნებო სკოლები, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სამხატვრო პროფესიების სწავლება, წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდა, კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

ქალაქ ოზურგეთში მდებარეობს ისტორიული მუზეუმი, რომელსაც ჩაუტარდა სრული რებალიტაცია, მუზეუმი საჭიროებს შესაბამისი საგამოფენო სივრცეების მოწყობას, სადაც განთავსდება მუზეუმის საცავში დაცული 6000 -მდე არქეოლოგიური (ნეოლითის პერიოდი, ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის) მასალა, ასევე ქალაქ ოზურგეთში მოქმედებს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა, სადაც ეწყობა როგორც ადგილობრივ, ისე სტუმარ ხელოვანთა გამოფენები.

კულტურის ობიექტების რაოდენობა და ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ოზურგეთში არსებული ისტორიული ძეგლებიდან უძველესია ოზურგეთის აბანოები, რომლის ნაშთები 400 კვადრატულ მეტრზეა გაშლილი და სავარაუდოდ ეკუთვნის დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX საუკუნის დასაწყისში აღწერილ გურიელების აბანოს. ისევე როგორც საქართველოში აღმოჩენილი სხვა აბანოები, ოზურგეთის აბანოც ორ იარუსიანია-ქვედა გასათბობი ადგილი და სააბაზანო. უკეთაა შემორჩენილი ქვედა სართული.

აღსანიშნავია, ქალაქის ცენტრში მდებარე ჭადრების ბაღი, რომელიც გაშენებული იქნა შოტლანდიელი აგრონომის, იაკობ მარის მიერ. ჭადრების ბაღი ყოველთვის მიიჩნეოდა ოზურგეთელებისთვის გამორჩეულ თავშეყრის ადგილად. აქ იმართებოდა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიება. შემორჩენილია დიმიტრი გურიელის მიერ 1873 წელს აშენებული სასახლე, სადაც ამჟამად მდებარეობს შემოქმედის ეპისკოპოსის რეზიდენცია, აღნიშნულ ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში სპორტი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ და ხელი ეწყობა მის განვითარებას და ემყარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ და კულტურულ ღირებულებებს, ისტორიულ გამოცდილებას, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულის სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, რაც მოიცავს სპორტული შეჯიბრების, ოლიმპიადების და სხვა სპორტული აქტივობების ჩატარებას, სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისებას ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეულის ორგანიზებას, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. საერთაშორისო ტურნირის კაიაკინგში მოწყობას, რომელიც იმართება სოფ.შემოქმედში მდინარე ბჟუჟზე და მონაწილეობას იღებს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კაიაკერები, სპორტული შეჯიბრება კიბერსპორტში, რეგიონალური სპორტული შეჯიბრება შ.შ.მ. პირებს შორის, რომელშიც ჩართულია ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები შ.შ.მ. პირები. სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა სულ 946 (მათ შორის გოგო - 175, ბიჭი - 771).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.

გამოკითხული ახალგაზრდების 59%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი (14%) და ცურვა (7%) დაასახელეს.

იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (34%), სურვილის ნაკლებობას (25%), ფინანსების ნაკლებობას (12%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (10%) ასახელებენ.

ქალაქ ოზურგეთში მოწყობილია 13 სპორტული მოედანი, ფუნქციონირებს სასპორტო - რაგბის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, კრივის, თავისუფალი ჭიდაობის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, მინდვრის ჰოკეის, ძიუდოს, ტაიკვანდოს სკოლები, კლუბები და სასწავლო წრეები, რომელიც საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ასევე ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი - ოზურგეთის „მერცხალი“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი სპორტული ობიექტები: სპორტის სასახლე; ჭიდაობის დარბაზი; ოზურგეთის ცენტრალური სტადიონი; ლაშეს სტადიონი (სათადარიგო); რაგბის მოედანი; საჩოგბურთო კორტები (რომელსაც უტარდება სრული რეაბილიტაცია) საჭადრაკო კლუბი; შესაბამისად, სპორტულ აქტივობებზე მოსახლეობას ხელმისაწვდომობა აქვს, საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მათი ამ მიმართულებით გააქტიურების წახალისება.

ახალგაზრდობა

ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი გააჩნია.

ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა ახალგაზრდებისთვის საჭირო სივრცეები, თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას, შესაბამისად ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია. ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. აქტივობებში ძირითადად, სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართულები. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც ძირითადად, გამოწვეულია მიგრაციით, გარდა ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს შემუშავებული, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობით, ასევე ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები, სპორტის განვითარების კუთხით კი მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფინანსებს სპორტულ დაწესებულებებს და მაქსიმალურად ცდილობს, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

1.6. გარემოს დაცვა

ნარჩენების მართვის სისტემა

მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევაა.

ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია შემდეგ ფაქტორებთან: მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, გარემოს დაცვა და სექტორის შემოსავლიონობის ზრდასთან; აღსანიშნავია ისიც, რომ ნარჩენები შეიძლება განხილული იქნას, როგორც პოტენციური ნედლეული, გარდა ამისა, სუფთა საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემო, ხელს შუწყობს ტურიზმის განვითარებას.

ნარჩენების მართვის სერვისის დაფარვის არეალი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას სრულად ვერ მოიცავს. სერვისის მიწოდება ხდება 30-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, მათ შორის ქალაქ ოზურგეთის და ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიები დაფარულია სრულად, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე ნაწილობრივ შეზღუდულად.

მუნიციპალიტეტმა 2014-2022 წლებში შეიძინა და ფონდების მეშვეობით მიიღო თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ნაგავმზიდი ტექნიკა; შეძენილია და ფონდების მეშვეობით მიღებულია თანამედროვე სტანდარტების ნაგავშემკრები კონტეინერები; ფონდების მეშვეობით მიღებულია პლაჟის დასუფთავების თანამედროვე ტექნიკა; ასევე, განხორციელდა სხვადასხვა სახის დამხმარე ტექნიკის (ტრაქტორები, მსუბუქი ავტომობილი მონიტორინგისათვის და სხვა) შეძენა.

ქ. ოზურგეთში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ხორციელდება ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა. რომლის შესაბამისად შეძენილია ნარჩენების სეპარირებისათვის ურნები და სპეცტექნიკა, ნაწილობრივ ხორციელდება ნარჩენების სეპარირება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, ნარჩენების შეგროვება ხორციელდება საერთო სარგებლობის კონტეინერების მეშვეობით. დღეისათვის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულია 1740 ნაგავშემკრები კონტეინერი და ურნა, რაც არ არის საკმარისი რაოდენობა ტერიტორიის სრული ათვისებისათვის. ნარჩენების შეგროვება ხორციელდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავმზიდი ტექნიკის მეშევეობით. ასევე, ურეკი-შეკვეთილის სანაპირო დასუფთავებისათვის, რომლის ფართობი შედგენს 230 000 $მ^2$, ნარჩენების შეგროვებისა და გატანისათვის გამოიყენება სპეციალური ტექნიკა და ტრაქტორები. ნარჩენების შეგროვება ხორციელდება ქალაქში ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში დღეში ორჯერ), ხოლო სოფლებში ყოველ მეორე დღეს. ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ზონაში აქტიური საკურორტო სეზონის პერიოდში (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) დღეში ორჯერ, კურორტ გომისმთაზე 5 დღეში 1 ჯერ. მყარი ნარჩენების გატანა ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ახორციელებს ა(ა)იპ მუნიციპალური მომსახურების ცენტრი. მუნიციპალიტეტში არ გვხვდება არალეგალური ნაგავსაყრელები. ქ. ოზურგეთის მოსახლეობა დაკმაყოფილებულია 100%-თ , ხოლო სოფლის მოსახლეობა 75 %-თ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შავი ზღვის შენაკად მდინარე ნატანებში, გარემოს დაცვის სამინისტროს კვლევისა და რეკომენდაციების საფუძველზე, ს.ს.ი.პ. „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-ს დაკვეთით, ატივნარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების მონტაჟი განხორციელდა. ნარჩენების დამჭერი მოწყობილობები მოეწყო მდინარე სეფისწყალზეც.

გრძელდება ყველა ისეთი საჭირო საინჟინრო კომუნიკაციების მშენებლობა - რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები და საგზაო ნაგებობები, წყალმომარაგება, ხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმზიდველი გარემოს შენარჩუნებას და განვითარებას, მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოზურგეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო (საკრებულოს წევრებიდან 14 ქალია და 31 კაცი), ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მერი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან - მერიის სამსახურებისგან, რომლებიც შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს დავალებების შესრულებას. მერიის სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის და შესაბამისი სამსახურის დებულებების საფუძველზე, მერის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმებისა და დავალებების შესაბამისად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია 187 ადამიანი, მათ შორის 89 ქალი, .98.. - კაცი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 23 ადამიანი, მათ შორს 9 კაცი და 14 ქალი.

მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით ახორციელებს მოსახლეობისათვის სხვადასხვა სერვისების მიწოდებას, კერძოდ:

- ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;
- ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების სერვისცენტრი“;
- ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი’’;
- ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების“

მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა მოქმედებს. მისი დახმარებით ორგანიზაციებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, პროგრამის ერთიანი ელექტრონული ბაზის დახმარებით, ორგანიზაციებს შორის დოკუმენტების მიმოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდა, რაც ამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც დაინტერესებულ საზოგადობას აწოდებს მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ.ნატანებში 2015 წლიდან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრი. საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს უამრავი სერვისით. ნატანების საზოგადოებრივი ცენტრით მომსახურება კომფორტულია მუნიციპალიტეტის დასავლეთი ზონის მოსახლეობისათვის, ხოლო აღმოსავლეთ ზონის მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელია ქალაქ ოზურგეთში მდებარე იუსტიციის სახლის მომსახურებით სარგებლობა. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია აღნიშნული სერვისები. დაბა ურეკში და სოფ.ბახვში ფუნქციონირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილებები. დაბა ურეკში არის სახელმწიფო დაცვის სამსახურის განყოფილება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მომზადებული აქვს მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტი.

მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობაზე და მომსახურების ეფექტურობაზე, რომლებიც თანხვედრაშია მოქალაქეთა ინტერესებსა და საჭიროებებთან. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულია სერვისების სახელმძღვანელო, სადაც აღწერილია მუნიციპალიტეტის სერვისები და თანამშრომლებისათვის მომსახურების სტანდარტი, ასევე განსაზღვრულია მომსახურების ზოგადი წესები და პირობები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ.

დიაგრამა 27. ოზურგეთის ბიუჯეტის შემოსულობები



წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი (დაზუსტებული) და 2024 წლის პროექტი.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელა 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების გადასახდელების მაჩვენებელის შესახებ.

დიაგრამა 28. გადასახდელები 2021-2024 წლები



წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი და 2024 წლის პროექტი

დიაგრამა 29. ხარჯების პროგნოზი 2024 წლისთვის



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მაღალი პოტენციალის მქონე ზღვის და მთის კურორტების არსებობა და მათი ერთმანეთთან სიახლოვე: • მუნიციპალიტეტის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან; • ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ნება და მზაობა ტურიზმის სექტორის განვითარებისა; • სუფთა ეკოლოგიური გარემო და პროდუქცია; • ტურიზმის განვითარების დადებითი დინამიკა; • ხელსაყრელი კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის; • სამეცნიერო ტრადიციები აგრარულ სფეროში; • გლეხური მეურნეობებისა და მცირე ოჯახური ბიზნესების მრავალფეროვნება • ჩაის წარმოების 170 წლიანი გამოცდილება; • გაზრდილი ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის მიმართულებით; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; • აგრო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა და ხელშეწყობა • მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია ელექტრიფიცირებულია; • მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია გაზიფიცირებულია • მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილზე მოქმედებს წყალმომარაგების ერთიანი სისტემა; • მუნიციპალური ტერიტორია მთლიანადა არის დაფარული ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორებით; • არსებობს სატრანსპორტო კომუნიკაცია ყველა ტერიტორიულ ერთეულთან. • გარე განათების სისტემით მოცულია ყველა სოფლის ცენტრალური ადგილი • ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრიაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შეკვეთილში საკონცერტო დარბაზის, ატრაქციონების და მუსიკალური პარკის არსებობა; • კულტურისა და სპორტული ობიექტების არსებობა სოფლებში(სოფლის კლუბები, მუზეუმები); • მედიისა და ,სამოქალაქო სექტორის მრავალფეროვნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო მყარი ნარჩენების მართვის გამართული სისტემა	• სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე; • ტურისტული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • შრომითი რესურსების პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მათი გადამზადების მოქნილი სისტემის არ არსებობა; • მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია; • ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა, მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის მხრიდან დაბალი უნარ-ჩვევების ფლობა • ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; • მუნიციპალიტეტის საიმიჯო აქტივობების ნაკლებობა; • სამეწარმეო განათლების დაბალი დონე, მ.შ. ტურიზმის სფეროში; • მუნიციპალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების საჭირობა; • კურორტ გომისმთასა და ურეკის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის არადამაკმაყოფილებელი დონე; • საგზაო ინფრასტრუქტურის უმეტესობა საჭიროებს რეაბილიტაციას; • ცენტრალური სასმელი წყლის სისტემა არარსებობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; • სოფლებში არარსებობს საკანალიზაციო სისტემები; • სოფლებში მგზავრთა გადაყვანის მწყობრი სისტემის არარსებობა • გარე განათების სისტემით არ არის მოცული მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია; • სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაგვიანება სტაციონართან სიშორისა და საგზაო ინფრასტრუქტურის გამო; • სოციალურად დაუცველი ფენისა და სიღარიბის დონის მაღალი მაჩვენებელი; • სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის შეუსაბამობა სტანდარტებთან (სოფლების უმრავლესობაში) • ქარსაფარი ზოლის არასათანადო (მოძველებული) მდგომარეობა, • შშმ პირთათვის სერვისების და ინკლუზიური ინფრასტრუქტურული გარემოს უქონლობა • კერძო და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობის დაბალი მაჩვენებელი • სივრცითი დაგეგმვის არარსებობა • ენობრივი ბარიერი

	• ჰაერისა და ზედაპირული წყლის ხარისხის კონტროლის • ლაბორატორიის არარსებობა; • სტიქიური მოვლენების პრევენციის გეგმის არარსებობა; • თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ნაგავსაყრელის არარსებობა • ნარჩენების ხელახალი გამოყენების დაბალი დონე
შესაძლებლობებები	**საფრთხეები**
• საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა; • ტურისტული ნაკადის ზრდა,. აგროტურიზმის მიმართულებით; • წარმოებული პროდუქციისთვის ახალი გასაღების ბაზრების გახსნა; • საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა • საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების ზრდა; • ინვესტორების მზარდი ინტერესი მუნიციპალიტეტის ტყის და წყლის რესურსების და წიაღისეულის მიმართ; • მცირე ბიზნესის და აგრო სესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები • ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე მიმართული სპეციალური სახ. და დონორი პროგრამები; • სოფლის მეურნეობის სფეროში სადაზღვევო სისტემების ხელმისაწვდომობის ზრდა; • ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება; • კურორტი გომისმთის განვითარების გეგმის დამტკიცება; • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების გაზიფიცირება • ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის დანერგვა • კერძო და სახელმწიფო სექტორის თანამშრომლობის გაღრმავება • ინვესტორების მოზიდვის ხელშეწყობა • ახალგაზრდებისათვის წამახალისებელ პროგრამებში ჩართულობა • სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	• ეკომიგრაციის მაღალი ტემპი; • შიდა მიგრაცია; • გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; • რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების სუსტი იმპლემენტაცია; • კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები • სხვადასხვა დაავადებათა გავრცელება. • დაბალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო მასალების გავრცელების საფრთხე; • საზოგადოების ინდიფერენტულობა • ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები • არსებული კანონმდებლობის იგნორირება • ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

2.1. ხედვა

ოზურგეთი არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისაათვის, ტურისტებისა და ინვესტორთათვის საცხოვრებლად, დასასვენელად და და საქმიანობისათვის სასურველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტი, გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობით.

2.2. მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა
ამოცანა 1.1. პოზიტიური ეკონომიკური გარემოს შექმნა: აგრობიზნესის და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის
ამოცანა 1.2. ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა
ამოცანა 1.3. ეკონომიკური პროგრამების სტიმულირება მუნიციპალურ დონეზე
ამოცანა 1.4. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გაძლიერება ტურისტული პოტენციალის ეფექტურად ათვისების ხელშეწყობით

მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად
ამოცანა 2.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ამოცანა 2.2. წყალმომარაგების სისტემების განვითარება
ამოცანა 2.3. საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, გამწვანება და გარე განათების ქსელის გაფართოება
ამოცანა 2.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესება
ამოცანა 2.5. ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა
ამოცანა 2.6. ბუნებრივი და სტიქიური უბედურების პრევენცია, ლიკვიდაცია და შედეგების თავიდან აცილების ხელშეწყობა

მიზანი 3. განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ამოცანა 3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
ამოცანა 3.2. კულტურის ხელშეწყობა, გურული ფოლკლორის, განსაკუთრებით ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება
ამოცანა 3.3. ახალგაზრდობის (ფორმალური და არაფორმალური) განათლებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
ამოცანა 3.4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობა
ამოცანა 4.1. ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ამოცანა 4.2. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება

მიზანი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, კარგი მმართველობის დანერგვა
ამოცანა 5.1. ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ოპერატიულობის ამაღლება
ამოცანა 5.2. მოდერნიზებული ელექტრონული მმართველობითი მექანიზმების დანერგვა მოსახლეობასთან ოპერატიული კომუნიკაციისა და ეფექტური უკუკავშირისთვის
ამოცანა 5.3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო უფლებამოსილების გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე კეთილდღეობის გაზრდის კონკრეტულ მექანიზმებს.

2.3. ლოგიკური ჩარჩო

ხედვა	ოზურგეთი არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი, ეკოლოგიურად სუფთა, მოსახლეობისაათვის, ტურისტებისა და ინვესტორთათვის საცხოვრებლად, დასასვენელად და და საქმიანობისათვის სასურველი გარემოს მქონე მუნიციპალიტეტი, გამჭვირვალე და დემოკრატიული მმართველობით.					
მიზანი 1:	მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა		**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები	
გავლენის ინდიკატორი 1.1:	ა. ბიზნეს სექტორის ინვესტიციების ზრდა ფიქსირებულ აქტივებში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
	ბ. ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა	**წელი**	2023	2025	2026	https://rs.ge https://www.geostat.ge https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	19,1 მლნ.ლარი (2022 წელი)	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	
			1837	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	
ამოცანა 1.1:	პოზიტიური ეკონომიკური გარემოს შექმნა: აგრობიზნესის და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	გაზრდილია მუნიციპალიტეტში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://www.geostat.ge https://rda.gov.ge
		მაჩვენებელი	3377 ტ	3579 ტ	3936 ტ	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 1.2:	ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	მეწარმეობის ხელშემწყობი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge

	აქტივობების რაოდენობა	**მაჩვენებელი**	2	5	7	https://www.gov.ge
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 1.3:	ეკონომიკური პროგრამების სტიმულირება მუნიციპალურ დონეზე					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	50	70	90	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 1.4:	მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გაძლიერება ტურისტული პოტენციალის ეფექტურად ათვისების ხელშეწყობით					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:	მუნიციპალიტეტში შექმნილი ახალი ტურისტული ლოკაციები		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	0	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
რისკი						
მიზანი 2:	**ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა ბიზნესისა და საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად**			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 6. სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 8. ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა მიზანი 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
გავლენის ინდიკატორი 2.1:	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის წილი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	საგზაო ინფრასქტურუა 26%	28%	30%	
			წყალმომარაგების სისტემა 50%	55%	60%	
			გარე განათება 68%	75%	80%	
ამოცანა 2.1:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება					
ამოცანის	მოწესრიგებულ		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**

შედეგის ინდიკატორი 2.1.1:	ი გზების საერთო სიგრძის წილი ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში			**შუალედური**	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	26%	28%	30%	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					
ამოცანა 2.2:	წყალმომარაგების სისტემების განვითარება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:	მოსახლეობის წილი, რომელსაც ხელი მიუწვდება წყალმომარაგების სისტემით მიწოდებულ სასმელ წყალზე		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	50%	52%	55%	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					
ამოცანა 2.3:	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება, გამწვანება და გარე განათების ქსელის გაფართოება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1:	მოწყობილი ან რეაბილიტირებული სკვერების და პარკების წილი საერთო რაოდენობაში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
	ენერგოეფექტური სანათების წილი სანათების საერთო რაოდენობაში	**წელი**	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	52%	54%	55%	
			68%	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					
ამოცანა 2.4:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესება;					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.1:	მუნიციპალური ტრანსპორტით შესრულებული რეისების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	5980	7260	8200	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					

ამოცანა 2.5.	ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.1:	დასახლებული პუნქტების %, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
	დასახლებულ პუნქტებში განლაგებული კონტეინერების რაოდენობის შეფარდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობასთან	**წელი**	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	60%	70%	80%	
			1/33	1/30	1/25	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 2.6.	ბუნებრივი და სტიქიური უბედურების პრევენცია, ლიკვიდაცია და შედეგების თავიდან აცილების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.1:	განხორციელებული სტიქიის სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	48	საჭიროების შესაბამისად	საჭიროების შესაბამისად	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა					
მიზანი 3:	**განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა**			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 4. განათლება მიზანი 5. გენდერული თანასწორობა მიზანი 10. შემცირებული უთანასწორობა
გავლენის ინდიკატორი 3.1:	განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პროგრამების დაფინანსების წილი მუნიციპალიტეტის მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	32%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	
ამოცანა 3.1:	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:	ა. მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	

	სერვისით მოსარგებლე აღსაზრდელთა წილი 6 წლამდე ბავშვთა საერთო რაოდენობაში					
	ბ. სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების წილი საბავშვო ბაღების საერთო რაოდენობაში	**წელი**	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge; http://mdf.org.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; სახელმწიფო ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	ა. 54%	65%	70%	
			ბ. 45%	55%	70%	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 3.2:	კულტურის ხელშეწყობა, გურული ფოლკლორის, განსაკუთრებით ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	კულტურის ხელშეწყობის დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	8,5%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 3.3:	ახალგაზრდობის (ფორმალური და არაფორმალური) განათლებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1:	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ზრდა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	100 000 ლარი	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სამიზნე ჯგუფის დაბალი ჩართულობა					
ამოცანა 3.4:	სპორტის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1:	სპორტის ხელშეწყობის დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	6%	საბაზისო	საბაზისო	

				მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სამიზნე ჯგუფის დაბალი ჩართულობა					
მიზანი 4:	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობა**			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა; მიზანი 3. ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 5. გენდერული თანასწორობა
გავლენის ინდიკატორი 4.1:	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	5,2%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება / გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	
ამოცანა 4.1:	ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:	ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების ოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	1 200 000 ლარი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სამიზნე ჯგუფის დაბალი ჩართულობა					
ამოცანა 4.2:	სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:	სოციალური სერვისების დაფინანსების ოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://ozurgeti.mun.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	1 422 510 ლარი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სამიზნე ჯგუფის დაბალი ჩართულობა					

მიზანი 5:	**ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, კარგი მმართველობის დანერგვა**			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 5. გენდერული თანასწორობა მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები
გავლენის ინდიკატორი 5.1:	LSG ინდექსში მუნიციპალიტეტის პოზიციის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	45%; 13 ადგილი	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	
ამოცანა 5.1:	ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ოპერატიულობის ამაღლება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:	გამჭვირვალობა და ღიაობის (TO ინდექსი) ინდექსის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	47%;	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, მოტივაციის დაბალი დონე					
ამოცანა 5.2:	მოდერნიზებული ელექტრონული მმართველობითი მექანიზმების დანერგვა მოსახლეობასთან ოპერატიული კომუნიკაციისა და ეფექტური უკუკავშირისთვის					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1:	LSG ინდექსში ელექტორნული მმართველობის (EG) ინდექსის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	52%	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, მოტივაციის დაბალი დონე					
ამოცანა 5.3:	მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო უფლებამოსილების გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1:	მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (PA ინდექსი) ინდექსის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org https://ozurgeti.mun.gov.ge
		მაჩვენებელი	41%;	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა, მოტივაციის დაბალი დონე					

3. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

3.1. დოკუმენტის განხორციელება

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- **გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მმართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.
- **პარტნიორობა** - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.
- **კანონიერების პრინციპი** - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მმართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.

2 წლის შემდეგ განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

3.2. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორცილდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.
ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.
მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.
რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის. შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

4. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების მიზნით რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული პირები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრების დროს განიხილეს შემდეგი საკითხები: მუნიციპალიტეტის სიტუაციის ანალიზი, ზოგადი მახასიათებელი, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, კულტურის განათლებისა და სპორტის ჭრილში. ჯგუფის წევრებმა ერთობლივი მსჯელობის შედეგად განსაზღვრეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ამოცანები და მიზნები, შეიმუშავეს მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლებში განსახორციელებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა და ლოგიკური ჩარჩო.

შეხვედრები ასევე გაიმართა ფოკუს ჯგუფებთან კერძოდ, მუნიციპალიტეტში მოქმედი საბჭოების წევრებთან, სადაც გამოიკვეთა და გამოვლინდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სამომავლო მიზნები და ამოცანები, მათ მისაღწევად განსაზღვრული აქტივობები და ინდიკატორები.

5. სამოქმედო გეგმა

გთხოვთ, იხილოთ თანდართული ფაილი.

დანართები

ცხრილი 1.

რესურსი	ობიექტი	ლიც/ N	მომპოვებელი	ლიც. გაც. თარიღი	ლიც. დასრულ. თარიღი	მოპოვება	სამრეწველო
ოქრო	კონჭკათის საბადო	LIC_429	შპს აი ენდ ეფ სოლუშ	29.03.2023	28.04.2040	1677	საიუველირო და ფერა

ცხრილი 2.

ლიცენზირებული არამეტალები								
რესურსის დასახელება	**ობიექტი**	**ლიც #**	**მომპოვებელი**	**ლიც. გაც. თარიღი**	**ლიც. დასრულ. თარიღი**	**ჯამური მოპოვება**	**მარაგების განზ. ერთეული**	**სამრეწველო ტიპი**
სააგურე თიხა	ლაითურის გამოვლინ	1145	შ.პ.ს. კრატერი მ.ი.ო.	22.02.2008	22.02.2028	22650	$მ^3$	აგურის წარმოება
ტრაქიტი	გომის გამოვლინება	100117	შ.პ.ს. ევრო მინერალი	29.07.2008	29.07.2028	4706450	ტ	სამშენებლო
ბენტონიტური თიხა	ასკანა (ვანისქედი)	1004001	შპს ასკანგელ ბენტო	03.02.2011	03.02.2031	389928	ტ	სამთო-ქიმიური მრეწ
ქვიშა-ხრეში	ნატანების საბადო	1005153	შპს "აქ–ვა"	11.10.2006	11.10.2026	48000	$მ^3$	სამშენებლო
ქვიშა-ხრეში	აჭისწყლის გამოვლი	10000111	შპს ,,მშენებელი XXI"	31.07.2018	31.07.2023	64740	$მ^3$	სამშენებლო
ბენტონიტური თიხა	მთისპირი	10002065	შპს "ასკანგელ ჯგუფ	18.10.2014	29.10.2034	815042	ტ	სამთო-ქიმიური მრეწ
ბენტონიტური თიხა	ასკანის საბადო	LIC_432	შპს ალკოვაინი	29.04.2023	07.10.2043	660300	ტ	სამთო-ქიმიური მრეწ